№ 112 20 ღვინობისთვე, ოთხშაბათი 1866—1876 20 ღვინობისთვე, ოთხშაბათი № 112

დროება

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“ ВЫХОДИТ ЧЕТЫРЕ РАЗА В НЕДЕЛЮ.

ГАЗЕТА „ДРОЕБА“ ПЕЧАТАЕТСЯ ВЪ ТИФЛИСѢ.

ГАЗЕТА „ДРОЕБА“ ПЕЧАТАЕТСЯ ВЪ ТИПОГРАФІИ ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЫСОЧАЙШАГО ВЕЛИЧЕСТВА НАСЛѢДНИКА ЦЕСАРЕВИЧА

ლი არ მიეცემოდათ, თუმცა კი ძალიან მარდათ მოიქცნენ, და მაინც ბევრი ბარგი მოარჩინეს.

„არ გეგონოთ, რომ ამ შემთხვევით ჯართაგან ვისმე რაიმე ვნება მისცემოდეთ; კაცი არავინ დაღუპულა. მესამეს დღეს (14) ეს ჯარი ვხახე ერთათ შეკრებილი, სადაც ლენერალმა ლორის-მელიქოვმა გაშინჯა.“

ნ. მ.

*
* *

ძველად გამოჩენილ მთაწმინდის მონასტრიდამ (ოსმალეთშია) ერთის ქართველისაგან მოვიდა აქ წიგნი, რომლიდამაც რამდენიმე საინტერესო ცნობანი მოგვყავს ამ მონასტრებზე, რომელშიაც ერთს დროს ზიორგი მთაწმინდელმა, დიდმა ეფთვიმემ და 1ხვ. იერიის მამათ შესამჩნევი ღვაწლი დასდვეს ქართული ენისათვის:

„ქართველთა მონასტრები ამ ჟამად აქ ბერძნის ხელშია. ქართველი აქ არა ვინ არის. ეხლა ააშენეს ერთი მცირე ეკლესია და ორი-სამი ბერი მოვიდენ ქართველები; მაგრამ ბერძნებს შეეშურათ და გულბანდიანი საყდრის აშენების ნება არ მისცეს; რა დენჯერ დაეპირეს აშენება, დაუქციეს:—ბულბანდიანი ეკლესია უპირველეს მონასტერს ეკუთვნისო და ქართველებს ნებას არ მივცემთ პირველ ეკლესიათა შორის მათი მონასტერიც იქნესო. ბერები წავიდენ უკანვე საქართველოში. მაგრამ მაგიერი ღმერთმა მიაგოთ ბერძნებსაც: მათი ეკლესიაც სხვას დარჩა.

„უპირველესი ეკლესია არის აქ წმინდა პანტელეიმონ მკურნალისა, დიდი სასწაულთ-მოქმედი, სადაც 400 ბერი არის ბერძენი.

„ამ მონასტერში მოვიდა ერთი რუსის ბერი მამა იერონიმე, რომელმანც ჩამოითხოვა ფული რუსეთში და ბევრი დახარჯა პატრიარხთან და ოსმალოს დიდ ვეზირთან და აღლონება და მოიყვანა რუსეთიდან რამდენიმე ბერი. ამასობაში მონასტრის წინამძღვარი ბერძენი გადიცვალა. იერონიმ მიაშურა პატრიარხს და ვეზირს საესე ქისით; მათ ნება მისცეს, რომ წინამძღვრათ დაინიშნოს რუსთაგანი.

„როდესაც დანიშნეს წინამძღვარი რუსი, მაშინ იგრძვნეს ბერძნებმა მონასტრის მათი ხელიდან დაკარგვა, აჯანყდენ ბერები, გაირჭვეს წელში დიდ-დიდი დანები და მოინდომეს რუსების ამოწყვეტა. წინამძღვარს და სხვა თაი კაცებს ყარაული დააყენეს თავზე. რუსის ბერებმაც ამოიწიეს ანაფორები, ჯოხებს ხელი მოკიდეს და ამასთანავე აცნობეს მთავრობას. მონასტერს შამოესია ჯარი, თავ-თავი კაცები ბერძნის ბერები დაიჭირეს და დაკარგეს. ერთი ბერი ფანჯრიდან გადავარდა, ხელ-ფეხი მოიტეხა და მოკვდა.

„მონასტერი დარჩა რუსების ბერებს. დადვა კანონათ წინამძღვარმა, ვინც არიან მონასტერში, დაშთენ და 1ხვა ბერძენთაგანი არ მიიღებოდეს წმინდა პანტელეიმონის მონასტერში, მხოლოდ რუსთაგანი მარტო. ეს ბერები, რომელიც ახლა არიან ბერძნებთაგანი, თუ აკლდება, თორემ არ მოემატება; ისინი როცა იქნება დაიხოცებიან და ამ ნაირათ დარჩებათ რუსის ბერებს ეს მთაწმინდის უპირველესი მონასტერი.

„ერთი მეგრელი, გვარად ბარკალაია, რომელიც მედუქნეთ იყო ჩვენში, მოვიდა ამას წინათ მთაწმიდას და შედგა მწირ-ბერათ*). ეს კაცი ღღესაც იოანე მახარობელის სენაჯშია. ამ მამა ბენედიკტე ბარკალაიამ მოახერხა როგორღაც, იშოვნა მოწმობა და საქართველოს იერარხის შემწეობით დაბეჭდია ტაკსა იერიის მონასტრის მაგიერ, სადაც გამოცხადებული იყო ყოველი მოხსენების ფასი, საყოველ წლეულ მოხსენება, საყოველ თვეულ, საყოველ კვირაულ, საყოველ დღეულ, პანაშვიდით ცალკე, დავითნით ცალკე საუკუნო მოხსენება. ეს დაბეჭდილი იერუსალიმში ყოველ ეკლესიაზე იყო მიკრული ამ სამი წლის ნინეთ.

„მ. ბენედიქტე თვითონ დადიოდა, დაედვა ხალხი; ვის ჭირისუფალს არ შეაცდენდა საუკუნო მოხსენებაზ? ვინც ფულათ ვერ შესძლო, მეტადრე ქალებმა, ვერცხლეულობას აძლევდენ. ამ ნაირათ შეკრიბა დიდი განძი და ფული, მაგრამ იერიის მონასტერში ერთი გროშიც არ მოტანილა და თვით იმ მ. ბენედიქტეს ხსენებაც გაჭრა.“

*) მწირი-ბერი არის, რომელსაც ნაკურთხი აქვს ბერის ტანსაცმელი, მაგრამ წირვა-ლოცვის ნება კი არა აქვს.

„დროების“ კორრესპონდენცია

ბორი, 13 ოქტომბერს. წრეევანდელმა ნაკიანმა წელიწადმა სწორეთ რომ საქმე გააჭირა. რაც დაგვეშართა, ხო წარსულს ვინლა ჩიეს, მაგრამ ახლა კიდევ ამ თვის ათიდგან მოჰყვა ერთი საშინელი ქარიშხალი და გაბმული წვიმა და ასე გახადა ბორში სახლები, რომ ათას თუმნიან სახლებშიაც კი ოთახები გუბეებით გაამსო. ქარმა ხო, თქვენი მტერი, რამდენსამე სახლს სახურავები სრულებით მოგლიჯა, ზოგს სახლს ფანჯრები და სტავნები გამოგლიჯა, ალიზის სახლები ჩაექცია, სად ხეები არ დაგლიჯა, ადამიანს ხომ კარზედაც არ გამოესვლევინებოდა. მეორე დღეს 12-ში დილით აეიხადეთ და თქვენ მოწონებულად თოვლდა. როგორც იყო, მადლობა ღმერთს, დღეს ისევ მშვიდი დღე გაგვითენდა.

სოფლებიდგან მოსულებმა გვიანბეს, რომ იმ ქარიან დღეში რა რიგ ღონიერ ცხენებზე არ ეისხედით, მაგრამ სამ საჟენზე მეტს გეისვრიდა ცხენიანათაო და ძლიეს გადაურჩით სიკვდილსაო: ხან ღობეებზე გვაწყვეტდა, ხან ხეებსაო. ბზა ხომ სულ დაეხშო წაქცეული ხეებით და ხანჯლით კეფამდენ და ძლიე-ძლიეებით გამოეარათ. ილბალი სოფლელებისა, რომ მელის სოროებში ცხოვრებენ, თორე კახურად რომ იყენენ გაშენებულნი, სულ ერთიან მოგლეჯდა სოფლებს.

მაგრამ მაინც კი კარგა ზარალი მისცეთ ამ ახირებულმა ქარმა: რაც სასიმინდეები (ზარები) ედგათ სახლწინ სულ სიმინდით საესეებს სტყორცნიდა: სად ფუჩეჩის კონები მიჰქონდა, სად თივის ძირს გლეჯდა და სხვა. ერთის სიტყვით ბევრნი გულხელ დაკრეფილნი ლოცულობდნენ თავიანთ ცოდოებზე, რადგან გაგონილი აქვთ, რო მეორე მოსელა და წარღენა ქარით უნდა იქნესო. მოხუცნი ფიცამენ, ჩვენ ამისთანა ქარს არ შეეწრებიეართო და სწორეთ წარღენის ნიშანიაო.

სწორე მოგახსენოთ, ბორშიაც ისე ნაირად შესძრამდა ხოლმე ქვითკირის სახლებს, რო ყველას გვეშინოდა ბასპიის ზღვაში არ ჩავეყარეთ და იქ არ შთავენთქეთ. ღვთის წინაშე, ახი კი იქმნებოდა ჩვენ გორელებისთვის.

იქ, სადაც და ერთობას ფასი არა სძევს, ყველაფერი მოსალოდნელი უნდა იყოს. რა ამათი საქმეა საზოგადო საქმეში გარევა, მაგალითად სლაეიანების თანაგრძნობაში! ამათ მოჰკითხეთ ეინგაატყაოს, ეისი მამული დაიგირაონ, რომელი გაჭირებული ტალახში ჩაფლან, თუმანი მანეთათ ვის მიასესხონ და სხვა, ეს ბანკიროობა ხო ამ ხალხში ისე აღძრულია, რო თუ კი რამ ღონისძიებით ცხრა მანეთი შეკრიბა, დღის ლუკმაც რო არა ჰქონდეს მშიერი ამოირთმევს სულ სანამ თუმნათ გახდის და რომელსამე გაჭირებულ გლეხ კაცს მიაეალებს. „ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და

მიუახლოვდით, იქ დაგვიხვდა ბასსო, ბარიბალდის ადუტანტი. ეს იყო საკმაო ტანის კაცი, კარგათ თავ-გაკრეჭილი, მშვიდობიანის სახით, ბრწყინვალე, ენერგიული შავი თვალებით და ჭაღარა შერეული შავი წვერით; სახე კი თითქმის ბრინჯის ფერი ჰქონდა; თუმცა სიცხე ძრიელ იკბინებოდა, მაგრამ მაინც იმას ეცვა წითელი ფლანელის პერანგი, თავგეის ფერი პარუსინის შარვალი, თავზედ დიდი კიზიროკიანი კარტუზი ეხურა, რომელზედაც გადაკრული იყო შარველის ფერი მსხვილი პარუსინა.

იმის გვერდით იდგა მშვენიერი ჭაბუკი და იმასაც წითელი პერანგი ეცო; ეს ჭაბუკი იყო ანტონიო, ერთი ბარიბალდის ოც-და-ხუთ მუშათაგანი.

სახლის წინ მოედანზედ ეყარა ყოველ-გვარი გაზეთები, კონვერტები, დეპეშები და ორი მონადირე ძალლებიც Lienna და Arga, რომლებიც გამაცნო ბასსომ და რომლებიც იქვე მოედანზედ თამაშობდნენ; ზევით იდგა თხა, და სახლის გარეშემო, ყოველ მხარეს, სადაც კი კაცს თვალი მიუწვდებოდა, დადიოდნენ ქათმები და ინდაურები თავიანთ წიწილებით.

თუმცა ჯერ სულ რვა საათის ნახევარი იყო, მაგრამ მაინც საშინელი სიცხისაგან სული გვიგუბდებოდა. ბასსომ თავის თავი თითონვე გამაცნო და მითხრა:

— ჩვენ დიდი ხანია თქვენ გელით. ბუშინ ლენერალმა მითხრა, რომ რიჩიოტტის მოუწერია, რომ თქვენ გაგიზრახიათ აქ წამოსელა. რატომ თქვენ რიჩიოტტი თან არ წ მოგიყვანიათ? იმასთან უფრო მხიარულად იქნებოდით, თორემ აქ საშინელი მოწყენილობაა.

ამ სალამის პასუხად მე იმასა ვეთხოვე, რომ ბარიბალდისათვის გადაეცა ჩემგან მოტანილი წერილი, რომელიც მე რამდენათმე გამაცნობდა ბარიბალდის.

— რას ბძანებთ, მობძანდით პირდა-პირ, შეტყობინება რა საჭიროა? დღეს თქვენი აქ მოსელა იმან კარგათ იცის; და ამას გარდა ის საშინელი უბრალო კაცია, მოხსენებები არ უყვარს და მხოლოდ ნაცნობ პირებს იღებს ხოლმე; რაც შეეხება დანარჩენ ცნობის-მოყვარე ხალხს, რომლებიც უწინ ძრიელ ბევრი მოდიოდნენ, იმათთვინ დიდიხანია გაზეთებში გამოაცხადა, რომ უქეიფოდ არის და არც დრო აქვს იმათი მიღებისა. ერთი ნეტავი გენახათ, რა იყო ამ გამოცხადებამდინ! ასე სტანჯამდენ, რომ იმათი ნახვის შემდეგ თითო კვირა ნამდვილი ავათმყოფი ხდებოდა ხოლმე. ეხლა კი მხოლოდ ნახლობელნი პირნი და ან საქმის გამო მოდიან ხოლმე.

ჩვენ გავწიეთ კარებისკენ და შევედით პატარა დერეფანში; მარჯვენივ მხარეს მიდიოდა ტალანი; პირ-და-პირ იყო მაგრად დაკეტილი კარები და მარცხნივ სამზარეულო. აბა შევიდეთ სამზარეულოში. სამზარეულო იყო ძრიელ დიდი, და თუმცა ჯერ ადრე იყო, მაგრამ მაინც გაცხარებული მუშაობა ჰქონდა. შესავლის მარჯვენივ მხარეს იდგა თეთრი სტოლი, მომზადებული თეფშები ეწყო; სტოლის ზემოდამ იყო გაკეთებული თარო, რომელზედაც ჭურჭელი ელაგა; ცოტა მოშორებით, წყლის ამოსაღებ მაშინის კრანტთან, იდგა გარიბალდიელი და გრაფინკას წყაროს წყლით ავსებდა. მეორე სტოლზედ იყო მოფანტული მწვანილეული: ლობიო, სტაფილო, კომბოსტო, ალათა, ახალი კაკალი, ნუში და ქლიავები. მეორე გარიბალდიელი თიხის ჭურჭელში რეცხავდა მუხუდოს და ორი კიდევ დიდ ბოთლებს ღვინით ავსებდნენ ფეჩის ახლო, რომელიც რუსულ ფეჩსა ჰგვანდა. დაგლეჯილ და უვარგის ჩალის სკამებზედ ეწყო რამდენიმე კვიპაროსის და ვერხვის შტოები (შეშები); ზედადგარზედ იდგა ადულებული წყლით სავსე თუჯის ქვაბი. მივიდა სტოლთან ერთი შუათანა ტანის გლეხ-კაცის ქალი, აიღო მომზადებული მწვანილეულობა, ჩაყარა ადულებულ წყალში და ღიმილით უთხრა ბასსოს, რომელიც იმ დროს ჩემთან მოდიოდა:

— ნეტავი სადილისათვის ნადირი რამ დაგეხოცათ, თორემ აბა ჩვენ სტუმრებს სადილათ რა უნდა მივართვათ?

— არა უშავს-რა, ჩვენი სტუმრები არ დაგეძრახვენ, უპასუხა ბასსომ და გააღო კარი.

მარგ. ეკ. ღვინიაშვილისა

(შემდეგი იქნება)

ისიც იქ წაუმატესო.“ ამდენ სიკეთეს აქაურმა ზოგიერთმა კეთილ-შობილებმა ის მოუმატეს, რომ ერთმანეთზე ბინძურ ლექსებს სწერენ რამდენიმე ეკზემპლიარობით და აქა-იქ ურიგებენ, რომ თავიანთ ჰოეტობა სახალხო გახადონ.

ისიც წარმოვიდგინოთ, რა სიხარულით გამართეს ბორში კრუჟოკი, ეგონათ ცოტაც არის საზოგადოებაში თავს გაჰ ჭყოფენო და საზოგადო საქმისთვის თანაგრძნობას ისწავლიანო. მაგრამ, თქვენი მტერი, რომ ეს წინასწარმეტყველობა ყოველად უსაფუძვლოთ დარჩა. მგლის თავს სახარება რამდენიც გინდა უკითხე.

აგერ რამდენი ხანია აფიცრობა გაიკრიფა და აბა ახლა საგანგებოთ მიბძანდით კრუჟოკში, რა დროს გაატარებთ! აბა ვინ გორელები, ვინ კრუჟოკები? მითომ რად დაიწუნეს მიკიტან-ხანები? ამას წინეთ ერთი ჩემი ამხანაგი შემამჩიოდა: ერთ კვირა დღეს შეეედიო და აბა რა დროს უნდა გამეტარებინა, რო ცხრა საათზე კაცი ვერაკინ ენახეო. ბიბლიოთეკაში შეეედი, მაგრამ იქაც ლაქიები თავს დამადგნენ: ერთი ჩქარა გაგვეცალოს, ლამპები დავაქროთო, და მართლაც ათს საათზე სულ მიძინებული გახლამთ კრუჟოკი. როტონდა ხო ძველი კოშკივით გდია მიყრუებული და მთელ ზაფხულს მისი კარი არ გაღებულა, და ახლოლოდ მის კედლებზე კი ბლომათ ნახამთ წარწერილ ლექსებს, ერთმანერთის ლანძღვას. ბ.ღი ხო რაც ღა უბედურებაა შიგ ღორ-ხბოები დარბაისლურად დასეიროობენ. ახ, აფსუს ბორის მდებიარებავ, რო მატრაბაზი ხალხი გასხია!

ილ. ალხაზაშვილი

ოზურგეთი, 13 ივნობისთვე. იშვიათია, რომ ახსოვდეს ვინმეს ამისთანა მდინარეების გადიდება ბურიის უეზდში, როგორც ამ თვის 11-ს მოხდა; ათს ამ თვეს განუწყვეტლივ იწვიმა მთელი დღე და ღამე, ისე რომ კაცს ეგონებოდა კოკიდგან წყალს უშვებს ვინმეო ჰაერიდგან, ისრე საშიშრად უშვებდა წვიმას.

მეორე დღეს ათს საათზე, გავიხედეთ, რაღაცა დიდი ზღვის ტალღასავით მოგორავდა საშინელის ხმით შოსეზედ, რომელიც გაყვანილია ოზურგეთის ბაზარში. ორი მინუტის შემდეგ, რაც შახვდა გზაზედ: კაცი, ბავში, პირუტყვი, სახლი თუ სხვა, სულ ერთიანად აიკლო და წაიღო უმოწყალოთ. შეიქმნა ერთი ყვირილი, კივინი მცხოვრებლებისა და ეაჭრებისა.

სამწუხარო შეხედულობას წარმოარდგენდა ეს უბედური ხალხი, როცა შეხედავდი, რომ ქალ-ბალანა ხეებზედ და დუქნის თავებზედ სტიროდნენ შესაბრალისად და ზოგიერთს მათგანს თავ-თავისი ძუძუმწოვარი აკენებით ხელში ეჭირათ, სანამ ვინმე მიეშველებოდა.

ეს წმინდა წარღვნა იყო ოზურგეთისთვის.

ბევრმა, ვისაც კაცობრიული გრძნობა ჰქონდა, მოიძულა თავი, და ცხენებით ჩავიდენ ამ გაგიჟებულს წყალში; დაეხმარენ გალმიდგანაც და გამოლმიდგანაც მთელმა ჯარის კაცებმა; ძრილ გასჭირდა შველა, შეუძლებელი დარჩა შესვლა ჩქარს წყალში.

მაგრამ მაინც შეძლებისა-და-გვარად მისცეს შემწეობა და ბევრი გადაარჩინეს დაღრჩობას. მთელი ექვსი მოსახლე მცხოვრები და ამასთან თვით დამოჟნის გამგებელი თავის ცოლშვილით და სახელმწიფო ნივთებით მოარჩინეს შემდგომმა პირებმა: მასწავლებელმა ანტონ ჭკუასელმა, ალექსანდრე აროობელიძემ, თ. იასონ ნაკაშიძემ და თ. ბრიგოლ ბურიელის მილიციონერებმა: ანტონ ქუკლაძემ და ივლიანე ბუჯაბიძემ ასე, რომ იმ უბანში, გარდა ერთის მოხუცებული დედაკაცისა, არა ვინ დამღრჩვალა.

შუა ბაზარში კი, სადაც დიდი მალალი წყალი მიქანობდა, ბევრი სახლებიც წაიღო და ექვსი ქალი დაკაცი დაიღრჩო.

ამ ნიალვრების მიზეზი ის იყო, რომ მთაში ძრიელ დიდი წვიმები ყოფილიყო და ამის გამო მდინარეები: ნატანები და ჭუდჭი გაადიდა სხვა და სხვა ღელეებმა. მდინარე ჭუდჭმა გადმოხეთქა სოფელს შამოქმედში და ნატანებმა—უჩხობში, სადაც ამ წყლებმა მთელი სოფლები ააოხრა, და მერმეთ ოზურგეთს მომართა.

ზარალზე კი ჯერ ვერას ვიტყვი, რადგანაც ცნობაში არ არის მოყვანილი.

ლ. კ—ლი

უცხო ქვეყნები

ომის ამბავი. დიდი მღელვარება, ბევრი ლაპარაკი და შიშია ამ ჟამად ევროპაში; ყველა ომიანობას მოელის, დიდს ომს, ფიცხელ შეტაკებას. ათასი სხვა და სხვა ხმები და ამბები ისმის საზოგადოებაში და იბეჭდება გაზეთებში. მაგრამ ყველა ამ ხმებში და ნაწერებში მართალი მხოლოთ ეს არის, რომ ომი კარზეა მიმდგარი და დღეს ან ხვალ უნდა გადასწყდეს: იქნება ევროპაში შეტაკება, თუ არა.

ყველაზე უფრო მოშეტებულს ამ ჟამად რუსის ელჩი სტამბოლში—ღენერალი იგნატიევი ალაპარაკებს ევროპას, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ იმ წინადადებებზე, რომელსაც, ამ ელჩის პირით, რუსეთი წარუდგენს ოსმალეთს, დამოკიდებულია ომის გადაწყვეტის საქმე.

ერთს ინგლისურს გაზეთში დაბეჭდილია, ამ საგნის თაობაზე, პარიჟიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც კორრესპონდენტი იწერება, ვითომც მენამდვილად შევიტყეო, რომ რუსეთის პირობა ეს არისო:

ა) სრული დამოუკიდებლობა სერბიის საკოროლოსი,

ბ) სრული თავისუფლება ჩერნოგორიისა, რომელსაც ოსმალომ უნდა დაუთმოს ზღვის ნაპირა ნავსადგური სპიცა,

გ) პოლიტიკური და ადმინისტრატიული დამოუკიდებლობა ბოსნიისა, ჰერცოგოვინისა და ბოლგარიისა (ბალკანის მთებამდინ),

დ) უკანვე დათმობა ბესარაბიის იმ ნაჭრისა, რომელიც წაერთვა რუსეთს 1856 წლის პარიჟის ტრაქტატის ძალით და

ე) თავისუფლად გაშვება სამხედრო და საჭრო გემებისა დარდანელისა და ბოსფორის წყლებში.

ეს პირობები თუ ნამდვილად წარუდგენია ღენერალს იგნატიევს ოსმალოს მმართებლობისათვის, მაშინ საფიქრებელია, რომ ომი მართლადაც კარზე გვადგია, რადგან ოსმალეთი და იმის მომხრე ინგლისი, უეჭველია, ამ პირობებზე ვერ დეთანხმებიან რუსეთს.

— რუსულ გაზეთებში ბევრს იწერებიან რუსეთის მზადებაზედ ომისათვის: „მოსკოვის უწყებაში“ დაბეჭდილია, რომ პეტერბურღში დაბარებულნი არიან ყველა შტაბის აფიცრები, რომელთაც რკინის გზებთი ჯარის გადაყვან-გადმოყვანა აქვთ მინდობილი და აგრეთვე სამხრეთ რუსეთის რკინის გზების ყველა გამგებლებიო. დიდი მოძრაობაა თურმე ამჟამად რუსეთში, ჯარები გადაჰყავ-გადმოჰყავთ ერთი ალაგიდამ მეორეში.

ერთი რუსული გაზეთი ამბობს, რომ ორი კვირის განმავლობაში ჩვენი ჯარი სრულებით მზათ იქნება, რომ ლაშქარში წავიდესო.

— ბრძოლის ველზედ სერბიელების საქმე ძალიან ცუდათ მიდის: ოსმალებს აუღიათ დიუნიში, რომელსაც სამხედრო მხრით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სერბიელებისათვის. ერთი რუსული გაზეთის კორრესპონდენტი იწერება სერბიიდამ, ჩვენი საქმე ისეთ ნაირად მიიწურა, რომ მეტი გაძლება აღარ შეგვიძლაო, ოსმალები დღე-დღეზე ქრუშევაცს აიღებენ და საუკეთესო სერბიის ქალაქებსა და სოფლებს დაიპყრობენ და ააოხრებენო. თუ რუსეთს უნდა, რომ რამე შემწეობა და დახმარება გვიჩვენოს, დროც ახალა არისო, თორემ ცოტა ხანს შემდეგ, გვიანღა იქნებაო.

დიპლომატებს რუსეთის იმ წინადადებაზე აქვთ ახლა ლაპარაკი, რომ სერბიასა და ოსმალეთს შუა მოხლოთ ექვსი კვირის ვადით მოხდეს დროებითი მორიგება და არა ექვსი თვით, როგორც ოსმალეთი თხოულობდა. ბუშინ მოსული დეპეშები გვაცნობებენ, რომ რუსეთის მხარე ამ საქმეში საფრანგეთისა და ბერმანიის სტამბოლელ ელჩებს დაუჭერიათ ასე, რომ ძალიან ადვილად შესაძლებელიაო, ამბობს დეპეშა, რომ მორიგება მოხდესო და ამ მორიგების დროს საქმე ისეთ ნაირად მოათავესონ ევროპის კონფერენციაზე, რომ შემდეგ დიდი ომიც აღარ ასტყდესო.

მაგრამ ბელგრადიდამ მოსული დეპეშა კი ამბობს, რომ ბალკანიის ნახევარ-კუნძულზე საქმე ისეთს მდგომარეობაში არისო, რომ უ-ევროპიულ ომოთ „აღმოსავლეთის კითხვის“ გათავება ვერ მოგერხდებაო.

—

ოსმალეთი. სტამბოლში რაღაც შეთქმულობა აღმოჩენილა; შემთქმელებს, როგორც ამბობენ, ახალი სულთანის აბდულ-ჰამიდისა და მინისტრის მიტჰატ-ფაშის მოკვლა გაგუზრახავთ; მაგრამ პოლიციას დროზე შეუტყვია და მოთავე კაცები დაუჭერია. არეულობა კი ამ დროს არა მომხდარა-რაო.

—

რუმინია. ზემლინიდამ მოსულის დეპეშიდამ ეტყობულობთ, ვითომც რუსეთსა და რუმინიას პირობა შეეკრათ, რომლის ძალითაც, თუ რუსეთსა და ოსმალოს შუა ომი ატყდა, მაშინ რუმინიამ თავის ჯარებით ბოლგარია უნდა დაიჭიროს და რუსეთის ჯარი კი რუმინიაში უნდა დაბანაკდეს.

—

ინგლისი. უცხო ქვეყნის გაზეთები გვაცნობებენ, რომ ინგლისში გაცხარებული მზადება არის ომისთვისაო. მმართებლობას, სხვათა შორის, მოუხმია ლლოიდის ცეცხლის გემების კომპანიის გამგებელნი და გემების დაქირავების თაობაზე იმათთან მოლაპარაკება აქვსო. ამას გარდა ჯარების უფროსებისთვის საიდუმლო მიწერილობა გაუგზავნია, რომ ჯარები ლაშკარში წასასვლელად ყოველ წამს მზად იყვნენო, ვინიცობაა, საჭირო იქნეს ხმელეთის-შუა ზღვაში გაგზავნა, დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავროთო. ადმირალის ნეპირისათვის ცალკე ბრძანება მიუციათ, რომ ეგვიპტეში წასასვლელად ჯარებითა და სამხედრო ხომალდებით დამზადებული იყავიო.

კავკასიის საბებიო ინსტიტუტი სამშობიარო ლოშპიტლით

(ვერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად)

მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. ლოშპიტალში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველ-დღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

ყოველ დღე დილის 8 საათი დამ $9^1/_2$-მდი დოქტორი არტემიევი და $9^1/_2$-დამ 11-მდი დოქტორი ანანოვი.

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით დილის 11 საათიდამ 12-მდი დოქტორი ალბანუსი და ქაპელერი.

ოთხშაბათობით, 12 საათზე რჩევა რემერტისა, ალბანუსისა ანანოვისა და არტემიევისა.

განცხადებანი

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ახალი საადგილმამულო ბანკის ოფისი იმყოფება სოლოლაკის ქუჩაზე, უ. ნიკოლოზ ყორღანოვის სახლში, № 2.

ბანკირის კანტორა

დამწესებელი

1-ლი გილდიის ვაჭარი

ა. მ. აქიმოვი

ერევნის მაიდანზე, ალუკუჯანოვის სახლებში,

წარმოადგენს

1) ასესხებს ფულებს ყოველგვარი მოძრავი ქონებისა, % ბანკის ბილეთებისა, აქციისა და თფილისის ბანკის გირაოს ფურცლებისა და სხ. გირაოთა;

2) ჰყიდულობს და ჰყიდის % ბანკისა და მოგებიან ბილეთებს, აგრეთვე თფილისის კომერციულ ბანკის აქციებსა და თფ. საადგილ-მამულო ბანკის გირაოს ფურცლებსა და სხვ.,

3) ჰყიდულობს ოფლებას, რწმუნებითი ქაღალდით, პენსიის მიღებისას, აგრეთვე ფოჩტის, არენდისკუპონების და სხვ. ფულებისას;

4) ახურდავებს სახელმწიფო სერიებს, ოქროსა და ვერცხლის ფულს რუსეთისას და საზღვარგარეთისას.

5) საზღვაოელად (სტრახში) იღებს ტირაჟის გაუქმებისაგან მოგებიან ბილეთებს ათ შაურად ქალაქელებისათვის და ქალაქს გარეშე მცხოვრებლებმა ამას გარდა ერთი ფოჩტის მარკა უნდა გამოგზავნონ;

6) ჰყიდის მოგებიან შინაგან სესხის ბილეთებს, დროგამოშვებით ფულების მიცემით, ასე რომ მყიდველს შეუძლიან ყოველ თვეში 15 მანეთი შემოიტანოს კანტორაში;

7) ჰყიდის, მინდობილობით დაგირავებულსა და ვადას გადასულ, ძვირფას ნივთებს იაფ ფასად.

(10—8)

გამოვიდა ბეჭდვიდამ შემოკლებული მხედრული ლოცვანი გამოკვემული მღვდლის დ. ღამბაშ-ძისაგან და ისყიდება თბილისში: ვართანოვის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში: სიმონ ჩომახიძის ტიპოგრაფიაში და დ. უყირილაში თვით გამომცემლის მღ. დ. ღამბაშიძესთან.

ლოცვანის შინაარსია:

ა) დილის ლოცვანი,
ბ). საყოველდღეო ლოცვანი,
გ). ლოცვა ძილად მისვლისა,
დ). ლოცვანი დაკეთილნი გულის.
ე). ზრახვანი მოსმენის დროს წირვისა.
ვ). მცირე სეროობა,
ზ). პარაკლისი ღვთის მშობლისა,
ე). სრული თვეთა მეტყველებადა
თ). მოკლე ხელთა ჩუ წლამდე.

ფასი ყველგან ერთი აბაზი

დოქტორი და აკუშერი უ. გავროლნსკი მიიღებს მოსარჩენათ ავათმყოფს ქალებს და ვაჟებს ყოველ ღღე გარდა კვირადღისა, დღით დაწყობილი პირველ საათიდგან ვიდრე სამ საათამდინ;—მხოლოდ ღარიბ ხალხს უფასოთ, სამშაბათობით და რაასკეობით იმავე საათებში.

ბინა აქვს ხანის ქუჩაზედ, მანტაშოვის სახლში, მეშვიდე ნომერი, რომელშიაც იდგა უ. ბარანოვსკი.

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის ჯუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

ქანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუ'კდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმაროობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—71



ათასი პირი, ქალი და კაცი თავისის მშვენიერის თმის ქონებით ვალდებულია მხოლოთ სამზღვარ გარეთ ვაჭრობაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ მცენარეოლგითს ქინოლ-ბლიცერინის პომადისა, რომელსაც თმა ამოჰყავს. ეს პომადა უცდია ბევრს გამოჩენილ ექიმობისმცოდნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს ქიმიის პროფესორისა ლანდგერტთან დანიშნულისა, ვენაში, უ. ძლეიჩინსკისა და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველს და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოვლებული თავიც კი მალე თმით იმოსება. საკვირველათ თავის კეფას უმაგრებს, სრულეთით კანის ყოველ გვარ ქერქეშს ამორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია.

ყველა ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მ ძლევს სრულს სიმართლეს იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატივცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

ფასი ბანკისა 2 მანეთი

ყოველ ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმაროს ეს პომადა

პომადა „PASTA EUGENIE“

ამ პომადის გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Evgenie ისყიდება თფილისში ლანკოს მუზიკალურ მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, აროწრუნის ქარვასლაში, ვლადიკავკაზში — სეგალთან და სტავროპოლში ჟურილლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამინის სიცხოველე ეძლევა. ყველაზე უფრო ეს პომადა იმათთვინ არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტი, არის ვენის ქიმიის პროფესორი ძლეჩინსკი და მოსკოვის საექიმო მთავრობის მოწმობა.

ფასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ.

ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.

ყოველ პომადის ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ს აქვს თავის დაღი, აშურის სურათით და გამომგონის ხელის მოწერა. ყიდვის დროს ამას ყურადღება მიაქციეთ.



P. S. პომადა „Pasta“ გამოსადეგია აგრეთვე იმათთვის, ვისაც ხორცის კანის ავათმყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდა ხორცის კანი ჰქონდეს სახეზე, ხელებზე და ყელზე. BERTHAE RIES.

ხელის პომადა

ეს პომადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ლრმა მოხუცებულებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

ერთი ბანკის ფასი 1 მან. და 30 კაპ.

თმის საღებავი—ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ფასი სამი მანეთი.

ტოკაის ბალზამი—საშუალება მაზოლისათვის. ფასი 60 კაპ. 54—36

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა . .	—	—	—	—	68		38	
ბორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ქუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
ფოთი . .	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ქუთაისი .	11	51			3	4	1	69
ყვირილა. .	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
თფილისი	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ—შაბათს დილის 8 საათ.
სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:
ფოთისკენ—ორშაბ. ნას. დ. 3 საათ.
სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ძერჩამდი.	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

| ო